# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— პარასკევი, 11 თებერვალი 1900 წ. № 1041.

**გაზეთი ღირს:** წალიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.

1-ლ თებერვლიდან წლის დამლევამდე

„ცნობის ფურცელი“ ღირს 5 მ. 50 კ.

ფასის განაწილება: პირველად—3 მ. და 1-ლ აპრილამდე 2—მ. 50 კ.

1-ლ თებერვლიდან წლის დამლევამდე

„ცნობის ფურცელი“ და „მოამბე“ (იანვრის წიგნიანად) ერთად ეღირება 9 მ. 50 კ.

ამ ფულის განაწილება შეიძლება ასე: პირველად—4 მან., 1-ლ აპრილამდე—3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე—2 მ. 50 კ.

## ქართული თეატრი

**კვირას, 13 თებერვალს,**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქმნება

ქ-ბ. მ. საფაროვ-აბაშიძის მონაწილეობით

ბ ე ნ ე ფ ი ს ი

ქ-ზ. ტასო აბაშიძისა

**ალიაქოთი კეთილშობილ ოჯახში**

სამ-მოქმედებიანი კომედია

**ცელქები**

ვოდევილი სიმღერებით

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.— დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი: **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

ოთხშაბათს, 16 თებერვალს, ბენეფისი ქ-ბ. ა. მ. კარგარეთლისა

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

**ფოტოგრაფია**

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში. (60—6)

ქ. შ. წერა-კითხვის გავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ

ნაანდერძევს **ფოტოგრაფიაში საჭიროა ხაზინადარი-ქალი.** მსურველთ ამ ადგილის მიღებისა შეუძლიანთ მიჰმართონ თხოვნით ხსენებულ საზოგადოების კანცელარიას არა უგვიანეს 15 თებერვლისა. ნ. 6—2

შაბათს, 12 თებერვალს 1900 წ., «ტფილისის სობრანიის» დარბაზში, ტფილისის მუსიკალურ სასწავლებლის კურს - დამთავრებული და უმაღლეს მუსიკალურ სწავლისათვის რუსეთში მიმავალი ზაქ. კ. ფალიაშვილი გამართავს

## კონცერტს.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ე. ლ. სოკოლოვისა, ბბ. ბ. რ. ვილმსუ, ნ. დ. ოვალენსკი, ი. ი. აგასოვი, კ. დ. უიფიანი და ქალთა და ვაჟთა მომღერალი ხორო ზ. ფალიაშვილის ლოტბარობით:

ბილეთები ისყიდება: წერა კითხვის გამავრც. საზ. კანტორაში და ი. პ. ფედოტოვის მუსიკალურ მაღაზიაში (გოლოვ. პროსპ., ზუბალოვის სახლი, № 7); კონცერტის დღეს «სობრანიის» სადგომში. (უ.) 5—4

## მთავრობის განკარგულებანი

**უმაღლესი ბრძანება სამოქალაქო უწყებას.**

ხარჯთ-ამკრეფ ინსპექტორების თანამდებობის აღმასრულებელნი: ერევნის გუბერნიის, ეჩმიაძინის ნაწილისა, კოლეჟსკი ასესორი იოსებ. ლორთქიფანიძე და ყარსის ოლქის, ოლთის ნაწილის, ტიტულიარნი სოვეტნიკი დიმიტრი ხოშტარია—დამტკიცებულ იქმნენ თავიანთ თანამდებობებში 15 იანვრიდან.

**განკარგულება ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას**

ფოსტალიონები ფოსტა-ტელეგრაფის კონტორათა: ქუთაისისა — ვიქტორ. ბახტაძე, ბათუმის — დავით ბახტაძე, ტფილისის — ვიქტორ ლალიაშვილი და ალექსანდროპოლისა—ალექსი ნანაძე, და ართვინის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებისა—ავქსენტი ალშიბაია,—გადაყვანილ იქმნენ ფოსტალიონებათ: ვიქტორ ბახტაძე—ონის, დავით. ბახტაძე—ართვინის, ლალიაშვილი—ჩურუქსუს ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებში; ნანაძე—ტფილისის და ალშიბაია—ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებში, ყველანი 1—თებერვლიდან. ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე-ქალი მარიანნა. ლოლობერიძისა დათხოვნილი იქმნა სამსახურიდან თავისავე თხოვნით.

## ახალი ამბავი

✦ აი ორიოდ მაგალითი იმ **გულგრილობისა და უთაოსნობისა,** რომელსაც ტფილისის ქალაქის გამგეობა დიდი ხანია იჩენს თავის სანიტარულს მოღვაწეობაში და მცხოვრებთა დახმარების საქმეში. 1) ათ წელიწადზე მეტია, რაც ავჭალის ქუჩაზე მოდის ხოლმე საზარელი ლაფი და ატალახებს მთელს ქუჩას არა მხოლოდ ავდარში, არამედ კარგი ამინდის დროსაც, როდესაც სუყველგან მშრალია, იქ მოდის და მოდის მღვრიე ნავთ-გარეული მდინარე. მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ ხსენებულ ქუჩის უკან, ნაძალადევში, კლდიდან გადმოდის წმინდა წყალი, გადის ჯერ პატარა ღელეში, რომელიც სავსეა სასუქით და ნაგვით, მერე ნავთის საზოგადოების „სვეტ“-ის ეზოში. იქ წყალს გააქვს მაზუთი და ამ გვარად წაბილწული გამოდის ავჭალის ქუჩაზე. წყალს რომ გზა შეუკრან, გამგეობის ტეხნიკებმა სათავეში ამოთხარეს რამდენიმე ჭა და წყალი იქ მიუშვეს; მაგრამ ავდრების შემდეგ, როგორც კი ჭები ივსება ლამით, წყალს აღარ აქვს გზა და მაშინვე, რასაკვირველია, ეტანება ავჭალის ქუჩას. ისე უპატრონოა ეს ჩვენი ქალაქი, რომ დაუყენებიათ ერთად-ერთი მუშა, რომელსაც თვალი უნდა ეჭიროს ამ საქმეზე. ამ ბოლოს დროში ამ ქუჩაზე გაყვანილია კანალიზაციის მილები. რატომ ამ მილებში არ გაუშვეს ეს წყალი, ფუჭი კითხვაა, რადგან პასუხს ვერ მივიღებთ. 2) ორ თვეზე მეტია, რაც ქალაქის ერთი დიდი უბანი, დიდუბე, მიუდგომელ ციხეს დაემსგავსა: ვერც ეტლით და ვერც ფეხით კაცს ვერ გაუვლია. რაც კაი დარი დადგა, ცოტა გაშრა გზები და ბილიკებიც გაიტკეპნა, მაგრამ ქუჩების გადასავალი კიდევ საშინელი ტალახიანია. ნუ თუ ქალაქის გამგეობას გაუძნელდებოდა ორი-სამი მუშა, მეტი არ მოუნდება, დაეყენებინა და ეს გადასავლები სუფთად შეენახა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ აქედან ათასზე მეტი ყმაწვილი დადიან სასწავლებლებში, მაგრამ არა გვგონია, რომ ამ გარემოებამ მაინც გააღვიძოს გამ

გეობის გულგრილობა და გაალვიძოს იმისი მიძინებული ზრუნვა და მხნეობა მცხოვრებთა მიმართ.

✦ თავად-აზნაურთა ბანკის დარბაზში წუხელ, 10 თებერვალს იყო კრება გორის მაზრის თავად-აზნაურთა ზოგიერთი საგნების განსახილველად და წარსადგენად მორიგ კრებისათვის, რომელიც 20 თებერვალს უნდა მოხდეს. სხვათაშორის მსჯელობა იყო **პანსიონ-თავ-შესაფარის დაარსების** შესახებ თავად-აზნაურთა იმ შეუძლებელ მოსწავლეთათვის, რომელნიც საშუალო სასწავლებლებში სწავლობენ. მეორე საგანი შეეხებოდა გზების გაუმჯობესობას გორის მაზრაში. ამ საგნის შესახებ დასაბუთებულ მოხსენების შედგენა მიენდო თ. ე. მაჩაბელს.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მმართველობას აღუძრავს საყურადღებო კითხვა ამიერ კავკასიის დაბებსა და უმთავრესს სოფლებში სოფლის **მასწავლებელთათვის ბიბლიოთეკების დაარსების** შესახებ.

✦ საგანგებო კომისიას, რომელიც არჩეულ იყო კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მიერ **სამეურნეო ცნობათა შესაკრებ ბიუროს** პროექტის შესამუშავებლად, უკვე დაუსრულებია თავისი მუშაობა.

✦ წარსულ წელს, რადგანაც ქალაქ ტფილისში ზოგიერთ ადგილას **საქონლის ჭირი** აღმოჩნდა, გუბერნიის სათანადო მმართველობამ განკარგულება მოახდინა, რათა ცნობაში მოეყვანით მთელი ქალაქის მკვიდრთა საქონლის რაოდენობა, და ამის აღსრულება მიენდო მაშინვე ადგილობრივ პოლიციის მოხელეებს. ეს საქმე პოლიციამ უკვე შეასრულა, რის გამოთაც ტფილისის გუბერნატორმა 9 ამა თებერვალს განკარგულება გასცა, რათა უკვე ცნობაში მოყვანილი საქონელი გაშინჯულ იქმნას საგანგებოთ მოწვეულ ბეითალების მიერ. მოწვეულია ამ საქმისათვის თერთმეტი ბეითალი. ტფილისის პოლიციის პირველ ნაწილში საქონლის გასასინჯათ დანიშნულია ბ-ნი მონგირდი, მეორე და მესამეში—ბ-ნი გ. მრევლიშვილი, მეოთხეში—ბ-ნი სოლოვიევი, მეხუთეში—დიმიტრიევი, მეექვსეში—კრასნოვსკი, მეშვიდეში—ბ-ნი ივანოვი, დობროტვორსკი და ლევიცკი, მერვეში—ნასტოპკო, მეცხრეში—შეინფოგელი და მეათეში—გერონიმუსი. მოწვეული ბეითლები უკვე შეუდგნენ გუბერნატორის მინდობილობის აღსრულებას 10 ამ თვეს.

✦ ტფილისის საგუბერნიო ბეითალი ბ. **კრიდნერი** დანიშნულ იქმნა უმაღლეს მთავრობის მიერ კავკასიის საბეითალო სამმართველოს გამგის თანაშემწედ, ხოლო ბ-ნი კრიდნერის თანამდებობის აღსრულება დროებით მიენდო ბ-ნს **მაკაროვს**.

✦ როგორც სჩანს ოფიციალურ ცნობებიდან, ტფილისის მაზრაში **საქონლის ჭირი** აღარ არის.

✦ **ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილის არჩევა** ზოგიერთ მოაზრებისა გამო გამგეობას გადაუდვია.

✦ კახეთის სამეურნეო ექსპერტი სტაროსელსკი შეუდგა სანიმუშო ვენახის გაშენებას, სადაც უნდა მოთავსებული იყოს კავკასიის ყოველნაირი ყურძნის ვაზი. ამისათვის მან მისწერა ყველგან ას-ასი რქა გაუგზავნონ დასარგავად.

✦ ამას წინად, როგორც მკითხველებმა იციან, ტფილისის ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა დააარსოს ტფილისში, ავლაბარში, ვაჟთათვის კლასსიკური **პროგიმნაზია**. ეს დადგენილება წარედგინა კავკასიის უმაღლესს მმართველობას დასამტკიცებლად. ამ ჟამად ხსენებულს მმართველობას ეს საქმე გადაუცია ტფილისის გუბერნიის ქალაქების საქმეთა საკრებულოსთვის გარდასაწყვეტად კითხვისა—შეუძლიან თუ არა ქალაქ ტფილისს იკისროს ყოველ წლიური გარდასახადი 10 ათასი მანეთი ამ პროგიმნაზიის შესანახავ თავის საშუალებათა შეუვიწროებლად.

✦ როგორც ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, უკანასკნელ ოთხ წელიწადში თანდათან **მატულობს** სხვა-და-სხვა **საქონლისა და ნაწარმოების გაზიდვა** ჩვენი მხარედან საზღვარ-გარეთ. ამიერ კავკასიის რკინის გზით გაუზიდავთ:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1894 | წ. | 106.628 640 | ფუთი |
| 1895 | „ | 107.394.660 | „ |
| 1896 | „ | 108.771.146 | „ |
| 1897 | „ | 125 791.431 | „ |
| 1898 | „ | 136.754.764 | „ |

ამ რიცხვში არ შედის რკინის გზის ჭიათურის განყოფილება. კერძოთ ამ გზით გაუზიდავთ მარგანეცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1894 | წ. | 5.096.959 | ფუთი. |
| 1895 | „ | 9.345.148 | „ |
| 1896 | „ | 9.457.440 | „ |
| 1897 | „ | 10 830 744 | „ |
| 1898 | „ | 15,680.810 | „ |

უკანასკნელ ცხრილიდან სჩანს, რომ მარგანეცის წარმოება მეტად ძლიერდება ჩვენში.

✦ აპრილში კავკასიაში ჩამოვა ცნობილი მსწავლული **მუშკეტოვი**, რომელსაც საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოებამ დაავალა ახალქალაქის მაზრაში მომხდარ მიწის ძვრის მიზეზების გამოკვლევა. კავკასიიდან მუშკეტოვი ციმბირს გაემგზავრება ტბის ბაიკალის დასათვალიერებლად და შემდეგ საზღვარ გარეთ წავა გეოლოგთა საერთაშორისო კრებაზე დასასწრებლად

✦ ტფილისის სახაზინო პალატამ შეატყობინა ტფილისის გუბერნატორს, რომ, როგორც აღმოჩნდა, ტფილისის გუბერნიის სოფლისა და ქალაქების პოლიცია თავისის ნებით ნაწილ-ნაწილ ახდევინებს მრეწველთ **სახელმწიფო სამრეწველო გარდასახადს**. რადგანაც ეს პოლიციის მიერ შემოღებული წესი ეწინააღმდეგება ამ გარდასახადის წესდების მე-155 მუხლს, სახაზინო პალატა სთხოვს გუბერნატორს დაავალოს პოლიციას ხსენებული გარდასახადი სრულიად გარდაახდევინოს მრეწველთ.

✦ ტფილისის ქალაქის საბჭომ, როგორც იციან ჩვენმა მკითხველებმა, დაადგინა დააარსოს ტფილისში **პოლიტეხნიკური მუზეუმი** სახსოვრად საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ასის წლის გასვლისა. ქალაქის მმართველობას მუზეუმის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტის შედგენა დაუვალებია ხმოსან არშაკ ბაბოვისათვის.

✦ კავკასიის ოლქის გზათა გამგეობის უფროსის თანაშემწე **მაკაროვი გადაიყვანეს** ყაზანის ოლქის გზათა გამგეობის უფროსად და ამ დღეებში პეტერბურგში მიდის.

✦ სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის ბ. მედვედევის ბრძანებით ამზადებენ ფოტოგრაფიულ სურათების ალბომთა კოლექციებს **პარიზის გამოფენაზე** გასაგზავნად. სურათები ზოგი უკვე მზად არის და დანარჩენსაც ამზადებენ. გადაღებული იქმნება სურათები სხვა-და-სხვა მცენარეებისა, ტყეებისა, ირრიგაციული შენობებისა, სამეურნეო და სხვა-და-სხვა ნაწარმოებისა, ღვინის დაწურვისა, დაყენებისა, ხვნა თესვისა, მკისა, გალეწვისა და სხვა. ერთი სიტყვით, რაც კი შეეხება საზოგადოთ სამეურნეო მუშაობას ჩვენში.

✦ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა შეუდგა ფილიმონ ქორიძის მიერ ნოტებზე გადაღებულ **ქართულ სიმღერების ბეჭდვას** ქართულ, რუსულ და იტალიანურ ენებზე.

✦ კავკასიის ოლქის გზათა გამგეობის უფროსმა ფლორინმა, შვეიცარიაში ყოფნის დროს, შეუკვეთა, როგორც ნათქვამი იყო ჩვენს გაზეთში, **გზების სატკეპნი** 7 ორთქლის მანქანა, რომლებიც ხაზინას უჯდება 38,000 მან., და გაზაფხულის დამლევს მოვა ტფილისში.

✦ „კავკაზ“-ის სიტყვით, ბაქოს გიმნაზიის მოწაფეთა აღმზრდელს, ბ. ნარიმან ნარიმანოვს, შუამდგომლობა აღუძრავს სადაც ჯერ არს იმის შესახებ, რომ მისცენ მას ქ. ბაქოში **თათრულ-რუსული გაზეთის** გამოცემის ნება.

✦ ამ დღეებში ბორჩალოს მაზრაში, ალლავერდის მადნებზე, ვიღაც ბოროტ-განზრახველთ **გაუტეხიათ და გაუქურდავთ ეკკლესია**.

✦ სამიწად მოქმედო სამინისტროში წარდგენილია განსახილველად პროექტი სტავროპოლის გუბერნიაში სოფ. პრასკოვიაში მეღვინეობის შკოლის დაარსებისა.

✦ დღეს ტფილისის ქალაქის გამგეობაში დანიშნულია კრება **ელექტრონის განათების** პროექტთა განსახილველად შემდგარ კომისიისა.

✦ პოლიციის I-ლ ნაწილში, კოლიუბი ბალკაში, აშენებენ **ახალს ეკკლესიას** მართლ-მადიდებელთათვის.

✦ ს. თიონეთში, როგორც იწერება იქაური ექიმი, **ცოფიან ძაღლს დაუგლეჯია** გლეხი ბერიკაშვილი, რომელიც უკვე გარდაცვლილა, რადგან არავის არ მიუქცევია ყურადღება და დროზედ არ გამოუგზავნიათ ტფილისის პასტერის საავადმყოფოში მოსარჩენად.

✦ **მაწანწალა ძაღლების** გაწყვეტა ტფილისში იჯარით აქვს აღებული პონომარიოვს, რომელსაც ავლაბრის მინდორზე, რკინის გზის ლიანდაგის გადაღმა, ლეშის საწვავი ქურა უნდა გაემართა. რადგან აქამდე არ გაუკეთებია და ლეშს იქვე მიწაში ჰფლავს, ქალაქის გამგეობამ დაავალა სამი თვის განმავლობაში გააკეთოს პირობაში აღნიშნული შენობები; წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქმნება შეწყნარებული თხოვნა პონომარიოვისა, შესახებ ჯარიმების გარდახდევინების პირობებისა.

✦ ამ დღეებში ავლაბარში ძეხვისაგან **მოიწამლა ეგოროვი**. ეს ძეხვი ეყიდნა შიანისაგან. საგუბერნიო სამკურნალოს გამგეობამ მისწერა მეშვიდე ნაწილის პოლიციის ბოქაულს დაწვრილებით გა-

მოიძიოს ექიმის თანადასწრებით ეგოროვის მოწამლის საქმე.

✦ «ტფ. ფურც». აცნობინებენ, რომ ქ. ხარკოვში მცხოვრებ ქართველებს, ადგილობრივ ადმინისტრაციის დასმარებით, მოუგროვიათ 730 მან. ახალ-ქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

9 თებერვალი

**ლონდონი.** ფრენჩის ჯარებთან მყოფი „რეიტერის სააგენტოს“ კორრესპონდენტი ორშაბათს დილით იუწყება შემდეგს დაწვრილებით ამბავს კიმბერლეის განთავისუფლების შესახებ: „როდესაც ჩვენ კიმბერლეიდან რვა ინგლისურ მილის სიშორეზე ვიყავით, გელიოგრაფით გავიგეთ კიმბერლეიში ალყა შემორტყმულთაგან, რომ ბურები ზარბაზნებს ესვროდნენ ქალაქსო. ჩვენ მაშინვე შევატყობინეთ იმავე საშუალებით: „აქა სდგას ფრენჩის ჯარი, რომელიც მოდის თქვენს დასახსნელად“. ალყაშემორტყმულთ უფიქრნიათ, რომ ჩვენი დეპეშა ბურების მიერ არის გადაცემული გელიოგრაფით და გვკითხეს: „რომელი პოლკისა ხართო?“ ჩვენმა პასუხმა დაარწმუნა, რომ გამანთავისუფლებელი რაზმი მართლა ახლოა. შემდეგ ჩვენ, რაკი არ აღმოგვიჩნდა დაბრკოლება, შევედით კიმბერლეიში. მცხოვრებნი ხმა-მაღლა გამოთქმულის აღტაცებით შემოეხვივნენ ჯარებს და მათში ჩაერივნენ. რაზმმა ღამე ქალაქში დაჰყო დასასვენებლად, მეორე დღეს კი დილითვე მტერს გამოუდგა დრონტფელდისკენ, რაკი წინადვე ზარბაზნების სროლით განდევნა ისინი გორებიდან. შებინდებისას ბურები გაიქცნენ და დასტოვეს მრავალი დახოცილნი. კიმბერლეის გარნიზონი და მცხოვრებნი ცხენის ხორცით იკვებებოდნენ დ ხვედრი სურსათი ყოველ დღე ურიგდებოდათ ქალაქის მოედანზე. კრონიემ უკან დაიწია, დასტოვა ერთი ზარბაზანი და აგრეთვე კარვები, სანოვაგე, სურსათი და სხვა და სხვა ნივთები ჯარის-კაცთათვის საჭირონი.

**ლონდონი.** ტომასმა წარუდგინა პალატას რეზოლიუცია, რომელშიაც აცხადებს აუცილებელ საჭიროებათ ახალის გამოძიების დანიშვნას ტრანსვაალის წინააღმდეგ შეთქმულებისა და 1895 წლის ჯემსონის შესევის შესახებ. ამასთანავე ტომასი აცხადებს, რომ ის არ ხელმძღვანელობს პირადის უკმაყოფილებით ჩემბერლენისადმი, არამედ საქმე ეხება პალატისა და მთელის ქვეყნის პატიოსნებასა და სახელს, მით უმეტეს, რომ ერი მეტად შეაძრწუნა იმ გარემოებამ, რომ გამოძიება არ იყო დასრულებული, რაც გავიგეთ ერთ ევროპიელ გაზეთის შემწეობით. გარნასმა და სამუილ ევანსმა ილაპარაკეს რეზოლიუციის სასარგებლოდ. აღელვებული ჩემბერლენი ორატორების წინააღმდეგ ლაპარაკობს; მთავრობის მომხრე პარტია თანაგრძნობით ეგებება მის სიტყვებს. ის ამბობს, რომ უკანასკნელ გამოძიების შემდეგ არ აღმოჩენილა ახალი ფაქტები. რეზოლიუციის და აგრეთვე მის წინააღმდეგ გამოლაშქრებას საგნად აქვთ დაუშალონ მას ტრანსვაალის საქმის მოწესრიგება. ის მტკიცედ ეწინააღმდეგება გამოძიების დანიშვნას. პალატამ, 286 ხმით წინააღმდეგ 152, უარ-ჰყო ტომასის რეზოლიუცია.

**პარიზი.** დღეს, 11 საათზე, გარდაიცვალა პრეზიდენტად ნამყოფის მარშალის მაკ-მაგონის ქვრივი.

**პარიზი.** უმაღლესი სასამართლო. გაბერი ამტკიცებს, რომ პატრიოტთა ლიგას რესპუბლიკანური ხასიათი აქვს და რომ დერულედი ყოველთვის უარს ამბობდა როიალისტებთან ერთად მოქმედებაზე. ჩამოერთვა ჩვენება რამდენიმე მოწმეს. საქმის გარჩევა გადიდვა ხვალამდე.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვაზე თათბირის დროს გალიფემ სთქვა: „მე თქვენ გიძღვნით საჩუქარს. ღენერალმა დე-ლაუმ, რომელმაც სხვა რიგად მოაწყო მთელი არტილერია, გვიძღვნა ჩვენ ახლად გადაკეთებული თოფი, რომლებიც ექვს თვეზე იქმნებიან შემოღებულნი სახმარებლად და რომლებიც ახლანდელ თოფებს გაცილებით ემჯობინებიან“ (ტაშის კვრაა). კალიომ შეიტანა წინადადება შესახებ ხარჯის გადადებისა მესამე თვისათვის.

**პეკინი.** ბავდიხანმა მიიღო გუშინ დიპლომატიური კორპუსი. როგორც ამბობენ, მას ავადმყოფის ფერი ედო. იმპერატრიცა არ დასწრებია დიპლომატთა მიღებას.

**არუნდელი.** ბურები არუნდელის არემარეში დიდ მოძრაობაში არიან. გაბმული სროლაა ზარბაზნების და თოფებისა. რადგან ბურების რაზმი, რომლის რიცხვი ორასამდე უნდა იყოს, ნააუვპორტის გზის შეკვრას ლამობდა, ინგლისელთა მხრივ 200 ავსტრალიის ჯარის-კაცი იქმნა გაგზავნილი ორის ზარბაზნით. ისინი ესროდნენ ყოველ გორას, რომელზედაც კი მტერი გამოჩნდებოდა ხოლმე.

**ლონდონი.** „სტანდარტ“-ს სწერენ მოდდერ-რივერიდან 6 თებერვალს შესახებ კრონიეს დევნისა: „პარასკევს, დილით, მე-13 ბრიგადა თავს დაესხა მტრის ზურგის ჯარს. 2000 ბურს ეპირა კლინდრიფტიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ მყოფი რამდენიმე გორაკი, საიდანაც იცავდნენ უმთავრესი რაზმის უკან დახევას. ორი გორაკი იერიშით იქმნა აღებული, ხოლო მესამეს ბურები დიდის თავგამოდებით იცავდნენ. მიუხედავად მეტად საშინელის სროლისა, ჩვენი ჯარები ბინდამდე მამაცურად იდგნენ თავიანთ ბინებზე; მანამდე ბურების უმთავრესმა ჯარმა მოახერხა კლინკრაალდრიფტამდემიღწევა, საიდაც გადავიდნენ მდინარის სამხრეთ მხარეს. ინგლისის მცირე რაზმი ქვეითა ცხენოსანთა ჯარისა და ერთი ბატარეია გადაყვანილ იქმნა კლინდრიფტთან მდინარე კლინის სამხრეთ ნაპირზე, რომ ხელი შეეშალათ მტრის მოძრაობისთვის, მაგრამ, მიაღწიეს რა ადგილს, დაინახეს, რომ მდინარის მეორე ნაპირას იმდენი ბურები გადასულიყვნენ, რომ შეიძლებდნენ პოზიციების შემაგრებას. ჩვენი ზარბაზნები ბინდამდე ესროდნენ. გუშინ, დილით, ბურებმა სრულიად დაიწიეს მოდდერ-რივერიდან სამხრეთისაკენ, რომლთაც მისდევდნენ კიტჩინერი და კელლი-კენნი ფეხდაფეხ. წარსულ ღამ მაკდონალდმა გაილენდერებთა ბრიგადით გასაკვირველის სისწრაფით გაიარა 10 მილი, რომ დროზე მისულიყო კოდუსრანდრიფტთან, და მტერს შეუკრა გზა.

**ვენა.** საღამოს გაზეთები იტყობინებიან, რომ იმპერატორი ფრანც იოსები ცოტა უქეიფოთ შეიქმნაო.

**ლონდონი.** პალატა. ჩემბერლენი, ამბობს-რა ტომასის რეზოლიუციის წინააღმდეგ, ამტკიცებს, რომ ახალ გამოძიებას არ შეუძლიან ხმა ჩააწყვეტინოს საზღვარგარეთელ კრიტიკოსებს, ხოლო შინ, გამოძიება არასურთ მათ, ვისი აზრი მისთვის, ჩემბერლენისათვის, ძვირფასია. სანამ ვინმე კრინტს დასძრავდა იმის შესახებ, ვითომ მე მონაწილეობას ვიღებდი ჯემსონის შესევაში, მე უკვე გამოვაცხადე პარლამენტში, რომ დანიშნული იქნება მკაცრი გამოძიება. ზოგიერთი დეპეშები, რომელნიც საქმეში აღარ აღმოჩნდნენ, წაღებულ იქმნენ არა იმათ ნებით, ვინც დაინტერესებული იყო საქმეში, არამედ სატელეგრაფო უწყების საქმეთა მოთხოვნით. დაკარგული დეპეშებიც იმასვე ამბობდნენ, რასაც კომისიისთვის წარდგენილნი. კომისიამ გულმოდგინეთ გასინჯა დეპეშები და ვერ აღმოაჩინა ვერაფერი ისეთი, რაც ამტკიცებდეს ახალშენთა სამინისტროს დანაშაულობას. არც შემდეგ აღმოჩენილა ისეთი რამ, რის გამო საჭირო იყოს ახალი გამოძიება. როდსი მართლა დამნაშავეა, რადგანაც მას წილი უდევს ჯემსონის თავდასხმაში, მაგრამ ტყუილია, ვითომც როდსი პოლიტიკურის მოსაზრებით კი არ ხელმძღვანელობდა, არამედ პირადის ანგარიშებით. ის ჰკიცხავს როდსს პირველი საქციელისათვის, მაგრამ უდანაშაულოდ სთვლის მეორეში, რომელიც როდსის პატიოსნებას ლახავდა. „ინდეპენდენს ბელჟ“-ში გამოქვეყნებული საბუთები, რომლებიც მოიპარეს სამსახურიდან დათხოვნილმა მოხელეებმა, წარუდგინეს დასაბეჭდად ლონდონის რადიკალურ გაზეთებს, მაგრამ იმათ არ ინდომეს მათი დაბეჭდვა. ბურების ერთმა ცნობილმა მეგობარმა გაუგზავნა ისინი ლეიდსს, რომელმაც ამ საბუთებში მისცა 100 გირვანქა სტერლინგი. საბუთებში არა ყოფილა ისეთი რამ, რაც არა სცოდნოდა საგანგებო კომისიას; ახალ გამოძიებას ყოველთვის თხოულობენ მხოლოდ იმისთვის, რომ ბრალი დასდონ ახალშენთა სამინისტროს ცრუ ფიცის მიღებაში. ოპოზიციას ჰსურს ნდობა დაუკარგოს მინისტრს, რომელსაც უსამართლოდ ამტყუნებენ, ვითომც მისი ბრალია ომის ატეხა. ამ ცილის წამებას ვუბრუნებთ ისევ იმათ, ვისგანაც მომდინარეობს. გარკორტმა უპასუხა ამაზე, რომ გამოძიება საჭიროა, რადგანაც ახალშენთა სამინისტროზე ეჭვი გაავრცელეს არა მოწინააღმდეგეთა, არამედ როდსის აგენტებმა, რომელნიც თავის დანაშაულის დასაფარავად იძულებულნი იყვნენ საქმეში სამინისტროც ჩაერიათ. ბანერმანი შიშობს, რომ ჩემბერლენის სიტყვა ვერავის დააჯერებს საზღვარგარეთ. ბალფური ამტკიცებს, რომ ტომასის წინადადება გამოწვეულია ჩემბერლენისადმი პირადის უკმაყოფილებით. ტომასის წინადადება ამის შემდეგ უარყოფილ იქმნა.

**პეტერბურგი.** გუშინ გრაფმა იუსუფოვმა გამართა ბალი, რომელსაც დაესწრო ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული.

**ლონდონი.** აქაურ ბირჟაზე გავრცელდა ხმა, რომ ლედი-სმიტი გაანთავისუფლეს. რამდენად მართალია ეს ხმები, არ იციან.

**ვინდზორი.** დღევანდელ სახელმწიფო საბჭოს სხდომას შეატყობინეს, რომ ვინდზორის სასახლეში, სადაც დედოფალი მიბრძანდა გუშინ, მიიღეს ცნობა ლე-

დი-სმიტის განთავისუფლების შესახებ.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტროს დაეკითხნენ, მართალია თუ არა, რომ ვინდზორში ცნობა მიიღეს ლედი-სმიტის განთავისუფლების შესახებაო. სამინისტრომ უპასუხა, რომ მას ამის შესახებ არავითარი ცნობები არ მიუღია და ამ ხმებს იგი ჭორებად სთვლის.

**ბერლინი.** გაზ. „ტაგებლატ“-ს ატყობინებენ ბრიუსელიდან: ბურები ამბობენ, რომ რადგანაც ომის წარმოების გარემოებანი შეიცვალა, ყველა პოზიციები ნატალში საფრთხილო აღმოჩნდა, რის გამოთაც ჟუბერმა ბრძანება გასცა ყველა ჯარებმა უკან დაიწიონ, რათა დაფანტულ ჯარებს თავი მოუყაროს ერთად. ამ რიგად ნატალი სრულიად განთავისუფლდება ბურების ჯარებისაგან და ლედი-სმიტსაც ალყას შემოხსნიან, რომ ჯარები წაიყვანონ ტრანსვაალის საზღვრების დასაცველად. ჰფიქრობენ, რომ ბულლერი ამ კვირაშივე შევა ლედი-სმიტში.

9 თებერვალი

**ლონდონი.** 8 თებერვალს პრეტორიიდამ ლორენცო-მარკეზე გამოგზავნილი ცნობებიდამ სჩანს, რომ საზღვრებზე სამსახურისათვის მიწვეულნი არიან მრავალი ბურნი, ხოლო მებრძოლ ჯარებში სამსახურისათვის—მრავალი თავისნებით გასული მეომარი.

პრეზიდენტი შტეინი იუწყება, რომ 8 თებრვალს მას ჰქონდა ბრძოლა ინგლისის ჯარებთან, რომელნიც სცდილობდნენ კრონიეს ბანაკის გარს შემორტყმას. ინგლისელები უკუქცეულ იქმნენ. გენერალი დევესი იუწყება შესახებ ბრძოლისა, რომელიც მოხდა პაარდებერგსა და კოდუფანდოს შუა, რომ ბურებმა აიღეს რამდენიმე გორაკი, რომელნიც ინგლისელთა ხელთ იყო. ინგლისელთა მხრივ რამდენიმე კაცია დაჭრილი და მოკლული და 40 კაცი წაყვანილი ტყვედ. ბურებს მოუკლეს ორი და დაუჭრეს ოთხი.

რობერტსი დეპეშით იუწყება 8 თებერვალს პაარდებერგიდამ, რომ გენერალი ნოკსი და მაკდონალდი დაჭრილნი არიან 4 დან და 6 თებერვალს მომხდარ ბრძოლაში. სამხედრო სამინისტროს არავითარი ცნობები არ მიუღია. დაუმთავრებელ სიიდამ სჩანს, რომ პაარდებერგთან მომხდარ ბრძოლაში მოკლულია 9 აფიცერი, დაჭრილია 39 და დაკარგულია 1.

ბულლერი იუწყება 8 თებერვალს ჩიველიედამ შემდეგს: „მეხუთე დივიზია გადავიდა მდ. ტუგელის მეორე ნაპირს პანტონის ხიდით და განდევნა მტერი. ზღვის ზარბაზნებმა ჩააჩუმეს მტერთა ზარბაზნები.

**ბომბეი.** აქ იხოცება იმაზე მეტი, ვიდრე უწინ: ყოველ დღე 400 კაცი კვდება. უკანასკნელ ერთი თვის განმავლობაში გარდაიცვალა 10,239 სული ჭირისაგან, ყვავილისაგან, სისხასაგან და სხვა ავადმყოფობისაგან, რომლებიც მოდებულია დამშეულ ადგილებში და აქ შემოიტანეს იქიდან გამოქცეულებმა.

**პეკინი.** საფრანგეთის ელჩი პიშონი გაემგზავრა საიგონში ინდოეთ-ჩინეთის გუბერნატორის სანახავად. გუბერნატორის ნახვის მიზანი არავინ იცის.

**პარიზი.** უმაღლესი სასამართ.-ლო. მოწმებთა გამოკითხვა გათა; გამამტყუნებელი სიტყვა ხვალ.

**ვალიადოლიდი.** ცეცხლმა გადასწვა 420 სახლი სოფელ ატაკვისნსეში. დაიწვა ბევრი შინაური საქონელი. ზოგიერთი მცხოვრები ჰკუიდან შეიშალნენ და ცეცხლში სცვივოდნენ.

**ბერლინი.** იმპერიის სეიმი. ხილვენ ვინტერისა და ამხანაგების წინადადების შესახებ დიქტატურის პარაგრაფთა გაუქმებისა.

ვინტერერის ამბობს თავის წინადადების განსამარტებლად, რომ უკვე 28 წელიწადია, რაც ელზოს-ლორენში თითქმის სამხედრო წესებია შემოღებული. მუხლი დიკტატურის შესახებ დაძველდა. იმპერიის კანცლერმა უპასუხა, რომ ვერ აღვიქვამთ თქვენის სურვილის აღსრულებასაო. ათი წელიწადია განვაგებ ელზას-ლოტ ა რინგიას და ამ ხანში ეს პარაგრაფი ძლიან იშვიათად იჩენდა ხოლმე თავს; მხოლოდ ამ ბოლოს დროს ჩასჭიდებდნენ ხოლმე ხელს და ისე ჰხმარობდნენ, როგორც ღონისძიებას უკმაყოფილების და გაბატონების გამოსაწვევად. ეგ პარაგრაფი კვლავაც უნდა დარჩეს, იმიტომ რომ გამაფრთხილებელია ფრანგების თანამგრძნობელ უმცირესობისათვის. ასეთ გრძნობათა არსებობას მოასწავებს ის გარემოება, რომ იქაური სამღვდელოება წინაამდეგია სღვთის მეტყველო ფაკულტეტის დაარსებისა სტრასბურგის უნივერსიტეტში, თუმცა ვატიკანი კი თანხმაა ამისი. მაგ წინაამდეგობას იწვევს ფრანგთა მოყვარულობა, ის ტრადიცია, რომელსაც კავშირი აქვს სტრასბურგის ძველებურს სემინარიის არსებობასთან.

„ყოველს შემთხვევაში,—განაგრძო კანცლერმა,—ჩვენი და საფრანგეთის ურთიერთობა ისეთი მეგობრულია, რომ უკეთესის წარმოდგენაც კი შეუძლებელია თვით ელზას-ლორენციც დამშვიდებულია, მშვიდობის მოყვარეობის გუნებაზეა, მაგრამ ძნელია კაცმა სთქვას, რომ მაგისთანა ყოფა ქვეყნისა მტკიცეა და ხანგრძლივიაო; ამიტომ არ უნდა გავუშვათ ხელიდან იარაღი. ელზას-ლორენი შევიძინეთ არა იმით, რომ ერმა მოინდომა ე'ა ხმის უმეტესობითა, არამედ იარაღის ძალითა და გვსურს კიდეც შევირჩინოთ ქვეყანა, რომელიც დაპყრობით უკანვე დავაბრუნეთ; ეს ჩვენი უფლებაა“, (ხმა მოწონებისა). რამდენისამე ორატორის ლაპარაკის შემდეგ კამათი დასრულდა. მეორედ კითხვის დროს აღარავითარი კამათობა აღარ იქმნება. წინადადება ვინტერერისა. შეწყნარებულ იქმნა უმრავლესობის მიერ. ხვალ დაიწყება კამათი სამხედრო ბიუჯეტის შესახებ.

**ლონდონი.** პრეტორიიდან 8 თებერვალს ლორენცო-მარკეზედან გამოეზავნილ ცნობებიდან სჩანს, რომ ორანჟის რესპლიკის ჯარის უფროსი ფრრეირა წინა დღეს გარდაცვლილა, როგორც ჰგონიათ, უბედური შემთხვევისაგან.

**კალპარასო.** ჩილლის ელჩთ პერუში და ბოლივია'ში მიწერ-მოწერა აქვთ სანტიაგოს მმართველობასთან შეეხება სამთა კავშირისა, რომელიც მიმართულია ვითომ წინაამდეგ ჩილისა. დეპეშა, გამოგზავნილი ნავთსადგურიდან ლაგაზა, ბოლივიაში, ამტკიცებს, რომ იქ მიუტანიათ ზარბაზნები და თოფები.

**ლორენცო-მარკეზე.** ლედისმიტიდან მყოფ ბურების უმთავრეს ბანაკიდან, 7 თებერვალს, იუწყებიან, რომ გუშინ ბოშკიფთან, კილენზოს ახლო, მოხდა დიდი ბრძოლა. ბურებს რამდენიმე დაჰრეს; ინგლისელებს ბევრი დააკლდათ. ჰგონიათ, რომ ლედისმიტში მყოფ ჯარს აღარა აქვთ სამხედრო სურსათი.

**ლონდონი.** უმაღლესმა პალატამ, შემდეგ ხანგრძლივის კამათისა, 69 ხმის უმეტესობით წინაამდეგ 42-სა, უარჰყო ლორდი უემისის წინადიდება, წინაამდეგ რომლისა ეკამათებოდა მმართველობა და რომელიც ამბობდა: „მოსმენილ იქმნა რა პროექტი მმართველობისა შესახებ სამხედრო ძალათა და შეიარაღების გაძლიერებისა, პალატა იმ აზრისაა, რომ რაკი ინგლისის სამხედრო სისტემა დამყარებულია კენჭით მილიციის მოკრებაზე, ფრიად საჭიროა, რომ კონსტიტუციის ძველი კანონი სამხედრო სამსახურისა, შესახებ მხოლოდ მეტროპოლიის დაცვისა ისე იყოს შეცვლილი, რომ შესაძლებელი შეიქმნას შემოღება იმისა და მიზანს მიღწევა, ისე რომ ხალხის ნამეტან ტვირთად არ დაუდოს იგი“. ამ წინადადებას სამხედრო მინისტრმა ლანსდოუნმა უპასუხა რომ თუმცა იგი ეთანხმება მილიციის კენჭით მოკრებას, როგორც ძვირფასს საშუალებას სათადარიგო ჯარის ყოლისას, მაგრამ მისი აზრით, ამ საშუალებას შეიძლება მიჰმართონ მხოლოდ მაში, როდესაც სისტემა, რომელიც დაფუძნებულია თავისუფალს სამხედრო სამსახურზე, გათავდება სრულიად უნუგეშოდ. კიმბერლეიმ შენიშნა, რომ ამისთანა წუთს, როგორც ახლაა, არ ევარგა ამ კითხვის აღძვრა. გერცოგი დევონშირისა ამტკიცებს, რომ მძიმე მდგომარეობაა, მაგრამ არ ამართლებს არც ლორდი როზბერის მიერ გამოთქმულ გაფრთხილებას, არც ფლოტის მობილიზაციას. როზბერი ამბობს კენჭით ჯარისგამოყვანის საჭიროებაზე. სოლსბერიმ გამოაცხადა, საეჭვოა, რომ უემისის წინადება მიღებულ იქმნას უკამათოდო. ახლა პალატამ უნდა გადასწყვიტოს, მართლა არსებობს საშიში მდგომარეობა, რომელზედაც ამბობდა როზბერი. სოლსბერი ჰკითხავს: სასარგებლო იქმნება თუ არა ინგლისისათვის, თუ წინადადება მიღებულ იქმნება, თუ იგი ვერ მიაღწევს საწადელს და თუ საზღვარ-გარედ გამოიწვევს აზრს, რომ ინგლისი უმწეოა და თავის დაცვა არ შეუძლიანო. რაკი კენჭით მოკრება იქმნება მიღებული, შეუძლებელი გახდება შეუდგეთ, მანამ არ იქმნება მიღებული სისტემა კონსკრიპციისა. მას, სოლსბერს, არა. ჰსურს იკისროს პასუხის გება ხალხის გრძნობათა აღელვებისა, რაიც დიდად საშიშო იქმნება ამ წამს, როდესაც საჭიროა, რომ ერი ჰმოქმედობდეს თანხმობით.

დრ. რედ. ალ. ჭყონია

## გამოსადეგი ცნობანი

**შაბათი,** 12 თებერვალი; ახალი სტილით 24 თებერვალი. წლის დასრულებამდე დარჩა 323 დღე. მთვარის მე-27 დღე. ხსენება წმ. მელეტი დიდისა, მარიამისა და ევგენიასი და ალექსისა გამოცხადება ივერიის ღვთის მშობლისა ხატისა 1651 წ.

შემდეგი უქმე—18 თებერვალი,—ყველიერი.

გამომც. გ. ჯუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Февраля, 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.